ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2447103

ნომერი: AR1374792

თარიღი : 01.02.2016

გაცემის თარიღი : 23.02.2016

გაცნობის თარიღი : 23.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო , და კოსტავას I შესახვევს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზი ბარქაია პ/ნ 39001006180
- კოსტავას შესახვევი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევს შორის ს/ს

"ლაგუნა ვერეს" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული კედლის აღდგენისა და ღიობების მოწყობის საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ ''საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (არსებული მდგომარეობის ფოტო; საპროექტო ფოტომონტაჟი; ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ს/კ N01.15.03.004.019, N882016016685; ს/ს "ლაგუნა ვერეს" 11.11.2015 წლის N05/10 მინდობილობა; ს/ს "ლაგუნა ვერეს" 20.10.2015 წლის N02/10 წერილი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმი N1, 19.02.2016წ) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევს შორის, ს/ს "ლაგუნა ვერეს" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, არსებული კედლის აღდგენისა და ღიობების მოწყობის შესაძლებლობას, დროებით, აუზის ტერიტორიის განვითარებამდე.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge